საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 7 დამატების № 2

კვირა, 10 იანვარი, 1916 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მაჰმადიანები

ნახატი ესნერისა.

უნდა ვიხილო!

ჯერ არ დასცხრება ჩემი გული მოუსვენარი,
უნდა ვიხილო ჩემი ტურფა, ჩემი ზენარი!
მოდით, მიშველეთ! რა გულხელი დაგიკრეფიათ?
ვარდნი რას არგებს, სულ ამაოდ მოგიკრეფიათ!
არც ცრემლი კმარა, თუ ოდესმე დაგიფრქვევიათ.
მოდით მიშველეთ! ბრძოლის ღმერთი კარზე გწვევიათ!

———

მის მტერს ვერ ჰხედავთ, აღუმართავს ჩემზე მახვილი,
ჰსურს დამამუნჯოს! არ ისმოდეს ჩემი ძახილი!
დამამხოს მუხლზე, მაწყევლინოს გაჩენის ბედი;
მომახრევინოს თვის წინაშე ამაყი ქედი.
ჩემს სამლოცველოს ის შეეხოს და დაამციროს;
ჩემი ერთგული შეურაცხყოს, შემდეგ გასწიროს!
თვით ჩემი ჩანგიც დამიმსხვრიოს, გამინადგუროს,
შავი სიკვდილის მწუხარება დამისადგუროს!

დაე დაგუბდეს მწარე ბოლმა—მისარგებია!
ტანჯვისგან გული არაოდეს ამკვნესებია.
ეს ჩვენი დროშა სასტიკ გრიგალს შესთვისებია!

მოდით, მიშველეთ! რა გულხელი დაგიკრეფიათ!
სისხლით ზიარნო! მყუდროება არა გჩვევიათ!
ცრემლი არ კმარა, თუ ოდესმე დაგიფრქვევიათ!
დღეს ნუ დასცხრება თქვენი გული მოუსვენარი
უნდა ვიხილოთ ჩვენი ტურფა, ჩვენი ზენარი!

სანდრო შანშიაშვილი.

თ უ ბ ო!

(უცები)

მომილოცნია ახალი წელი!
ჯანდაბას ძველი! ჯანდაბას ძველი!
სისხლით რომ ირწყვის სხვის მთა და ველი
უცხოს ქვეშ არის უტეხი გრდემლი—
და აქ ჩვენს მშობლებს ჩამოსდით ცრემლი,
უდრეკი გული მაინც არ სტყდება:
რაღაცას ველი! რაღაცას ველი!

* * *

ამბობენ: კაცი ფხიზელი
რად, რისთვის უნდა თვრებოდეს?
სახლში ცოლშვილი ულუკმო
სიმშილით რაზე კვდებოდეს?
მე კი ჩემ თავად რას ვიტყვი?
გინდ ზეცა რისხვით სკდებოდეს,—
ოღონდ კი ცრემლი ობოლი
გულს ნათლად დამეცემოდეს!

შიო მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე ქართველ ქალისა.

დანგრეული კერა.

ლ ე ლ ი...

იგი მომწყურდა.. და დიდი ხნობით შევლაღადებდი დაბნელებულ ცას,
დიდხანს ვეძებდი უხილავ სახეს, დიდხანს ვეძებდი სახეს ღმერთისას..
მაგრამ ვინ ჰნახა, მაგრამ ვინ უწყის სიცოცხლე ჩვენი და დასასრული?
ბევრი გვინახავს კუბოს მდებარე, ბევრი გვინახავს მიწად შთასრული!
საით მიდიან?—არას ამბობენ.. თვით არ იციან რისთვის კვდებიან— —
გულით ცივნი და უსიცოცხლონი მიმქრალ თვალებით გვეთხოვებიან...

და რაც ძიებამ ვერ მომანიჭა ის შენში ვპოვე ო, ლელი, ლელი:
სახე წარმტაცი ყვავილოვანი, სახე ძვირფასი და მომხიბვლელი..

მე შენს თვალებში ამოვიკითხე, რად მოვევლინე მიწას ვნებული,
როგორც დემონმა გიპოვე ლელი! ხილულ ღვთაებად მოვლინებული...

გ. ლეონიძე.

მოდი ახლო!..

ვიშ, რა გშვენის ტუჩზე ხალი,
თმა გიშერი მხრებსა ჰფარავს;
სიო სარტყელს გიფრიალებს
სიო ქურდი კოცნას გპარავს.

——

შენ კი, ტურფავ, ისევ დარდობ?
კიდევ ცრემლს ღვრი, კიდევ ნაღვლობ?..

——

თუ ასეა, მოდი ახლო!
მინდა ტრფობა განვაახლო
მოდი ახლო
ახლო
ახლო!..

ქნარი.

ნოემგერი

გაყვითლებილა. შეხმობია ფოთოლი ჭანდარს,
მელამურები ევლებიან თავზე ძველ საყდარს.
მიმფრინავ წეროთ სევდის მღერა ატირებს მდელოს
და შემოდგომა თეთრ ზამთრისას სვამს სადღეგრძელოს.
გაღმა ქარიშხალს თავის თავიც არ ეცოდება,
ველურ სიმღერის ველურ ცეცხლში იწვის, ცოფდება.
მწუქრის ჟამისას შეეპარა სულს კაეშანი,
მწუხრის საღამოს ეფარება ნისლის საბანი.
გამოილოცა უკვე მამამ... შაბათი არი
და თეთრ წვერებზე, თითქო მოსჩანს ლოცვა დამდნარი.
დაბნელდა, თვალი გარეშემო ვერაფერს ხედავს
კუდიანივით ქარიშხალი მიდამოს სწეწავს.
ქარვის ტალახში ეფლობიან მძიმედ ფეხები,
ყვითელ ფოთლებში მე ვიხჩობი და ვიმარხები!..

ტ. ტაბიძე.

გალტასარის ნადიმი

I

მეჯლისი გაეთავებინათ. მეფე ბალტასარი ნეტარების რულს მისცემოდა. ვნება დამკვდარს ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებდა, ზმანებაშიც თავის საყვარელ მხევალს ელისარას ეალერსებოდა, რომელიც მთვრალური სიგიჟის შემდეგ აგერ მის ფერხთან დაჩოქილიყო და მზრუნველობით ჩაჰყურებდა თავის მეუფეს, რათა ყოველი მისი სურვილი დაუყოვნებლივ ამოეკითხნა.

— იძინე ტკბილად, — ჩურჩულებდა იგი,—მე ხომ შენი მხევალი ვარ, ჩემო მეუფევ!

დარბაზში სურნელი დაეკმიათ. თითქოს განგებ ვნების კოკორთა გასაფურჩქნად მზის უკანასკნელი სხივები ებრძოდა დარბაზის იდუმალებას და ბალტასარის თვალებს ნარნარი კოცნა-ალერსით შესთინათინებდა.

მონა და მხევალნი გაფაციცებით ჰკრებდნენ ჭურჭელს და ფორთოხლის ნაფცქვენებს. ფრთოსან სულებსავით უხმაუროდ დაჰქროდნენ, თითქოს დედამიწაზე ფეხს არ აკარებენო. დარაჯნი ყოველ კუთხეში ბრინჯაოს ქანდაკსავით გაქვავებულიყვნენ. მარტო ერთ ცეცხლის მფრქვეველი თვალების ელვარებაზე შეატყობდა ადამიანი, რომ ესენი სულიერ არსებობას წარმოადგენდნენ.

— ჰა, რაო? უეცრივ შეშინებულსავით წამოიძახა ბალტასარმა და ღვთაებრივ გადაშლილ შუბლზე რაღაც უცნაურმა მჭმუნვარების ქარმა დაჰბერა.

— რას მიბრძანებ, ძეო ბაალისავ,— შერხევისთანვე შეეკითხა ელისარ და თან მუხლებზე მოეხვია.

— ელისარ, შენა?

— მე გახლავარ, მბრძანებელო.

— ჰო, შენ ხარ... სიზმრები მაშფოთებს, ელისარ, სიზმრები... ჭრაქი მოანთეთ... რას დაგიბნელებიათ? ან მუტრიბნი რატომ დასდუმდნენ?

— ჭრაჭი, ჭრაქი...

სწრაფად მოედო ეს ხმა დარბაზის დერეფნებში. შემოანთეს. დარბაზის სურნელოვანება ბოლის სიმწვავემ შეახელა.

— ჰო, რას ვამბობდი?..

— სიზმრებიო, შენ სთქვი, ხელმწიფევ...

— ჰო, ჰო, სიზმრები... თუმცა არ მახსოვს, რა ვნახე, მაგრამ ვიცი, რომ ყოველთვის შემზარავია იგი. წარმოიდგინე, ელისარ, როდესაც შენ სიზმარში გეხვევი, ალერსით მსურს ვარდად გაგფურჩქნო, აგაყვავო, უეცრივ რაღაც გამომიქროლებს, ასე მგონია, გველნი მკბენენ, ზვავი მიტანს, ერთი სიტყვით, ათასი რამ უბედურება მატყდება თავზე.

— ეს სულ იმ სულელი მოგვის ბრალია. მაგრამ რაოდენადმე შენც გიდევს წილი ამ დანაშაულებაში, ჩემო ხელმწიფევ, ადგები და ასჯერ და ათასჯერ ამეორებინებ სულელურს სიზმრებს, რაც ოდესღაც ვისღაც სადღაც უნახია. დაეხსენ და მოისვენებ...

— ჰო, ეს კარგი გამახსენე... სად არის მოგვი?

— ჩემო ხელმწიფევ...

— უაიბრი!

შესძახა ბალტასარმა და ტაში შემოჰკრა. უზარმაზარი ცოცხალი ქანდაკი მხოლოდ ეხლა შეინძრა კართან.

— წადი, დეიოკესს დამიძახე.

დარაჯი გაჰქრა და ორიოდ წუთს უკან შემოიყვანა ხელთა გამოცდილებით დაზიდული ბრძენი მოგვიდეიოკეს, რომელიც აჩრდილის სიწყნარით მოუახლოვდა და თაყვანი სცა მეფეს. ბალტასარ წამოიწია.

— განიმეორე, რა ნახა სიზმრად მამაჩემმა?

— ღმერთები მწყალობდნენ... საშინელი რამ: ქანდაკი საიდუმლო, რომლის თავი წმინდა ოქროსი იყო, ხელი და მკერდი ვერცხისა, მუცელი და თეძო ძვალისა, ხოლო ფერხნი კი თიხისა. ამ დროს მწვერვალიდან დაგორდა ლოდი, ქანდაკს დაეჯახა და...

— და... მტვრად აქცი, ხომ?

— დახე, ხელმწიფევ!

ბალტასარმა ხარხარი მორთო.

— ნუ იცინი, მეუფეთა-მეუფევ, სიზმარი ახსნილია. ცუდი რამ მელის...

— „ცუდი რამ გელის!“ ცეცხლი და ღველფი მაგ ენას! წაათრიეთ, ვიდრე მოთმინების ფიალას არ გადმოუხეთქია, თორემ, ვფიცავ ხმალს, ისე გავაქრობ ამ ჩერჩეტსა, როგორც ქარბუქი ვერხვის ფოთოლს!

დეიოკეს კრძალვით წავიდა. ბალტასარმა გული მოიცა.

— სულელი, როგორ ყოველისფერი სჯერა. ავიწყდება, რომ სიზმრის ამხსნელი ებრაელი იყო, მონა და რაც სთქვა, მძულვარებით წარმოთქმული სიცრუე იყო და მეტი არაფერი. თუ მართალია მისი წინასწარი თქმულება, რად არ დგება ბაბილონის აღსასრულის დღე? თუ მართლა ჩემი სამეფო თიხის საფუძველზეა აგებული, რად არ ინგრევა აქნობამდე? სადაა ის შემარყეველი ლოდი, რომელიც რისხვით ემუქრება ჩემს სამეფოსა? არა, ბაბილონი ოქროს სამეფოა! ფუძე მისი მტკიცეა, ვით კლდე. ყოველისფერს ისევ ძლიერი კვერთხის ბეჭედი აზის. განა ისევ მდიდრები არაართ? განა ტურფა მხევალნი შემოგვაკლდნენ? განა ჩვენი სასახლე კვლავ მტკიცე ციხე-გალავანით არ არის შემოფარგლული? ან იქნებ დაკიდულმა წალკოტებმა იცვალეს ფერი? ან და შესაძლებნლია წელში გატეხილი და სარტყელში მოზნექილი სირია-ფინიკია

გ. სააკაძე. (ნახატი ვ. ს.—ერისთავისა).

ციხის დამცველნი.

გასწორდა და ახლა ურჩობას გვიწევს? ყველა გაურბის მამიჩემის მიერ ნაანდერძევ შიშველ მახვილს და მის მოწეულ მკვეთრ შვილდ-ისარს. ჩერჩეტს კი სჯერა ცრუ წინასწარმეტყველის სიტყვა. დაე, გაიგონ, რომ ბალტასარ თვით ღმერთებს უფლობს! მომართვით იერუსალიმის ტაძარიდან ნადაელი ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი: მე და ჩემს მშვენიერს ელისარს გვსურს ამ ჭურჭლით ვიგემოთ მათრობელი ნექტარის სიტკბოება.

მსახურნი დაფაცურდნენ. შინ და გარედ ხმაურობა შეიქმნა:

— იერუსალიმის ტაძრის ჭურჭელი...

იძახოდა ერთი.

— ნუღარ აყოვნებთ, რას უდგეხართ?

ხმაურობდა ბოხის ხმით დარაჯთა უფროსი უაიბრი. ბალტასარიც მიეცა თავდავიწყებას. დაავიწყდა შემაშფოთებელი სიზმრები. ეხლა მხოლოდ ელისარის გიშრის ნაწნავებს ეალერსებოდა. თვითვე აღტაცებაში მოდიოდა ამ მშვენიერ თაიგულის სურნელოვანებით, მის მომხიბვლელ სანახაობით:

— ქანაანის ქალწულთა მშვენიერება ისე შეგიმოსნია, ელისარ, როგორც ისტარს განთიადის სხივოსნობა!

ჰხარობდა და ნეტარებდა, რომ კეკლუცი მისი მხევალი ასჯერ და ათასჯერ გაკეკლუცდა მის მიერ მიძღვნილი ოქროს სამაჯურ-სამკლავეებით, ალმასისა და იაგუნდის ყელსაბამით, რომლის თვალთა ელვარება ელისარის ვნებით მღელვარე გულის ტოკვაზე თითქოს სცეკვავდა, მკრთოლვარე სხივით თინათინებდა.

— ელისარ, ელისარ,—განაგრძო გაბრუებულმა ბალტასარმა,—ჭეშმარიტად, ღირსი ხარ, რომ ღმერთებმა შენს წინაშე ქედი დაჰხარონ!

თრთოლვით ჩააცქერდა მგზნებარე თვალებში. მხევალი მიეშვა მის მკლავებზე; ნეტარების ერუანტელმა დაუარა, მთვრალურ ბურუსში გახვეულმა ის ღა მოახერხა, რომ თავს ძალა დაატანა, უხმოდ ასწია და უსაზღვრო ბედნიერების ღიმილით ოდნავ გაპობილი მარჯანის ტუჩები განამზადა მის ტუჩების შესახვედრად.

II

მეჯლისი განახლდა. მხიარულების ცისარტყელა შეევლო დარბაზს. მაშხალებს მოუმატეს. მხჩოლავი ალი ცეცხლის ენას ასავსავებდა და სპილენძის ჭურჭლეულს ათასფერად აელვარებდა. მონა-მსანურნი და მხევლები ერთმანეთში ირეოდნენ, რიგს ჭურჭლეული მოჰქონდა, რიგს ღვინო, თაფლი, სურნელი დასაკმევად, ოშხივარ ანადენი მთელ-მთელი ბატკანი თუ ხილეულით სავსე ხონჩები.

„მეფე და ელისარ, როგორც მეჯლისის დამამშვენებელი ორი გვირგვინი, ყოველს ყურადღებას იპყრობდნენ. მხართეძოზე წამოწოლილიყვნენ. თავთან ორი ქალი დეველი მხევალი დაეყენებინათ ფარშავანგის ფრთის მარაოთი და ასე შეექცეოდნენ. კარისკაცნი და სტუმარნი მეფისანი მას მზგავსად წამოწოლილიყვნენ. შემწვარის ნაჭრებს ხარბადა სჭამდნენ. ყურს უგდებდენ მეფის ტრაბახს, თუ მას და მის წინაპართ რა გაეკეთებინათ შთამომავლობისთვის.

— ასე, ჩემო არწივნო, ვეფხვნო და ლომნო,—სთქვა ბოლოს ბალტასარმა,—იმხიარულეთ თქვენს მეფესთან ერთად! ეს ქამრები, წელს რო გარტყიათ, მოსისხლე მტერთა ტყავი არის; თქვენი საცვეთნი თუ ჭიხვინა მერნების თექალთო, მათ ცოლ-შვილის ტყავიდგან არის გამოჭრილი, თვით თქვენი ბედაურნი მტერს გამოვტაცეთ ხვნა-თესვის დროს, მე და ჩემს სახელოვან წინაპართ მთელი ქვეყნები გავვინადგურებია, რათა თქვენთვის კარგა ჩაგვეცვა, დაგვეხურნა და გაგვეძღეთ. იმხიარულეთ, მეგობრებო: მსახურნი უნდა ღირსნი იყვნენ თავიანთი მეფისა!

— მართალია, მართალი,—ქეფით ტაშს უკრავდნენ მოქეიფენი და ველურ ხმებით გაჰკიოდნენ უცნაურს სიმღერებს.

როცა საჭმელ-სასმელით იჯერეს გული, მეფემ ისურვა მეჯლისის თაიგულს ელისარს ეჩვენებინა სტუმრებისთვის თვის ხელოვნება. წამოიშალნენ. სიმხიარულე გაასკეცდა. ჩამოჰკრეს წინწილს. ელისარ გამოჰკრთა. დარბაზი გაინაბა. ჰაეროვანი, ღიმილის აღტაცებით შემკულმა თითქმის ნახევრად შიშველმა ელისარმა ყვავილა გველსავით ისე იწყო ნარნარი რხევა, როგორც ყურის ბიბილოებზე მის საყურეთა ელვარებამ.

— სიონის ფიალა, სიონის ფიალა! შესძახა ვნება აფეთქილმა ბალტასერმა, როდესაც ელისარმა ცეკვა გაათავა და გველსავით ყელზე შემოექნა.

— სიონის ოქროს ფიალა!

განიმეორა ბალტისარმა.

საუცხოვო ოქროს ფიალა მისთავაზეს. ბალტასარმა ნექტარი ჯერ ელისარს მოასმევინა, შემდეგ თვითონვე გამოსცალა.

— რიგი ჩემზეა, დაჰკათ კიდევ,—ბრძანა ხელახლად. ხელში ელისარ აიტაცა, დარბაზის შუა გამოვიდა და ტორტმნით დაიწყო ცეკვა.

ბალტასარს პირველი წრეც კი არ შემოევლო, რო წაბარბაცდა, ელისარ ხელიდან გაუვარდა. უცნაურმა თრთოლვამ მოიცვა. სახე შეშლილი მიაშტერდა სასახლის კედელს.

— მოგვს დაუძახეთ... მეფე ცუდად გახდა...

დაიძახა უაიბრიმ:

— შეაჩერეთ, მუსიკა ნუ უკრავს...

ზარი დიეცა ელისარსაც. ულონოდ მოჰხვეოდა ბალტასარს და უაზროდ მზირალ თვალებში ჩაცქეროდა საიდუმლოს გამოსაცნობად:

— ჩემო მეუფევ...'

— ელისარ, ხომ შენცა ჰხედავ...

როდის როდის ხმა ამოიღო ბალტასარმა, მაგრამ კედლისთვის თვალი არ მოუშორებია.

— რასა ხელმწიფევ?

— აი, იმას... უცნაურ ხელს... კედელზე რო რაღასაც სწერს...

ელისარ გაშრა. ენა ჩაუვარდა.

— დეიოკეს, დეიოკეს...

დაიკივლა ბალტასარმა. ბრძენს კვლავ მოუხმეს. ბალტასარ მის წინაშე დაემხო:

— გამიმჟღავნე საიდუმლო, რას ნიშნავს ესა?

ბრძენი დააცქერდა ნაწერს. უსიტყვოდ მხრები აიწია.

— რაო, ვერ ახსნი?

გატეხილ ხმით შეჰნიშნა ბალტასარმა.

— ვერა...

— ოჰ!

სასოწარკვეთილებით თავში ხელი შემოიკრა.

— რა ვქნა, რა ვუყო? უხმეთ ქალდეველ მოგვებს, უხმეთ სადაც ხმა მიგიწვდებათ, გამაგებინონ საიდუმლო.

— მეფევ, ნუ შფოთავ. ქალდეველნი მოგვნი ჩემებრ უძლურნი არიან. უმჯობესი იქნება მოუხმოთ იმავე წინასწარმეტყველს, ვინც მამაშენს ნაბუქუდონო—სორს აუხსნა ის საზარელი სიზმარი.

— მერე ვინაა ის კაცი?

— კიდეც კითხულობ? შენი და საზოგადოდ ჩვენი კარგი ნაცნობი: დანიელ, წინასწარმეტყველი ურიათა.

ბალტასარს სახე შეეშალა.

— დანიელი?

— დიახ, დანიელი, წინასწარმეტყველა ურიათა,—განუმეორა ხაზგასმით დეიოკესმა და მორჩილად გავიდა კარში.

დარბაზი დუმილმა მოიცვა. მხოლოდ ელისარმა ამოიღო ხმა, ჯერ ნაზად მიუალერსა ბალტასარს, შემდეგ მოეხვია და ნაზი ჩურჩულით ჩაჰსჩურჩულა:

— მომყე, მეფეო, ხომ შენი ვარ, რის გეშინან?

ტახტრევანზე წამოაწვინა. მისი თავი მუხლზე მიისვენა, თმაზე ხელი გადუსვა და შემდეგ იმავე ჩურჩულით გაამხნევა:

— სცოცხლობდეს მეფე უკუნითი უკუნისამდე! შესახედაობა მისი ნურც შეიცვალოს ნურასოდეს! წერილის საიდუმლოებას ფარდა აეხსნება...

შემდეგ ლართა უფროსს მიუბრუნდა...

— უაიბრ, მეფეს დანიელის ნახვა ჰსურს, უხმე მოვიდეს.

უაიბრი გაჰქრა. ნელ ნელ დარბაზმა იწყო დაცარიელება. ყველაფერი მოჰხსნეს, აალაგეს. დადაჯები კვლავ ქანდაკად გაქვავდნენ ირგვლივ.

(დასასრული იქნება)

დ. კახრაძე.

მწყემსი დედოფალი

ოსმალურიდან გადმოკეთებული ზღაპარი*).

გაიძვერა მეზობელმა რამდენიმე ცრუ მოწამე იშოვა და თექნამასთან წავიდა. ნაცნობებმა ერთმანეთი თავაზიანად მოიკითხეს. თექნამმა დიდი მადლობა გადაუხადა თავის მეგობარს, რადგან მისი ქალის ცუდი ყოფა-ქცევა არ დამალა და თავს სირცხვილი ააცილა.

ტყეში უშემწეოდ დარჩენილი საბრალო ქალი უნუგეშოდ ტიროდა.

*) იხ. „საქარ."-ს დამატება. № 10.

თითონაც არ იცოდა საით წასულიყო. როცა მოშივდებოდა, ხის ნაყოფით და მცენარეების ძირით იკვებებოდა. ტანისამოსი მთლად შემოეხია.

ისე გაიარა ქალმა ექვსი თვის საფალი გზა, რომ გზაზე ერთი ადამიანის შვილიც არ შეხვედრია.

ერთ დღეს ბინდისას ჩვეულებრივ, ხეზე ავიდა ღამის გასათევად. ამ ხის ძირში ანკარა წყარო გამოჩუხჩუხებდა. როცა კარგად დაღამდა ქალმა მთვარის სინათლეზე დაინახა შორიდან მოშავალი სამი ცხენოსანი. ერთი ახალგაზრდა ვაჟი ამ ჯგუფს გამოეყო და იმ ხესთან მივიდა, რომელზედაც ქალი იჯდა. ფიცხლავ ჩამოხტა ცხენიდან და წყალს დაეწაფა. მთვარის შუქზე წყალში ადამიანის აჩრდილი დაინახა, აიხედა მაღლა და ხეზე შეამჩნია ადამიანი.

— ვინა ხარო? ჰკითხა ყმაწვილმა.

ქალს დიდი ხანი ადამიანისთვის ხმა არ გაეცა. ბოლოს აკანკალებულის ხმით უპასუხა:

— ადამიანიშვილი ვარო!

— ჩამოდი ძირს, მითხარი, ამ უდაბურ ტყეში რა გინდაო?

ქალმა გონება მოიკრიბა, ძირს ჩასვლა დააპირა და თან ფიქრობდა: „ალბად ღმერთს მოვაგონდი და ეს ყმაწვილი გამოგზავნა ჩემს მხსნელადაო.

ნათქვამია: **„კაცი კაცის მიზეზია, წაწყმედაშიაც, ცხონებაშიაცაო“.**

როცა ქალი ხიდან ჩამოვიდა, ვაჟი მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ვინა ხარ? ან აქ რად მოსულხარო?

— ბატონო ჩემო! ყველას დაწვრილებით გიამბობთ, მხოლოდ აქ ადგილი ნებას არ მაძლევსო, უპასუხა ქალმა.

ვაჟი დათანხმდა, ქალი აღარ შეაწუხა, თანამხლებელთაგან ერთს უბრძანა თაეისი ცხენი დაეთმო ქალისათვის.

ეს ვაჟი იყო სურჰან ქალაქის ფელფექ ხელმწიფის შვილი, რომელსაც ურთაკანმუში ერქვა სახელად.

ასვეს, აჭამეს ამ ქალს, ცეცხლი დაუნთეს, გაათბეს და ერთი თბილი ქურქიც წამოასხეს; ცოტა ხნის ნადირობის შემდეგ ქალი შესვეს ცხენზე და გაუდგნენ თავიანთ ქალაქის გზას, რომელიც ერთი საათის მანძილზე იყო ხსენებულ ხიდან. მხედარნი შევიდნენ ქალაქში, ქალაქი დიდი იყო და ფრიად შემკობილი, მცხოვრებნი მორთულნი და ზრდილობიანნი, შენობები დიდრონი, მაგარი ციხეები ჰქონდა, ქუჩები განიერი, აღებ-მიცემობა გაჩაღებული იყო. თვით მეფე გონიერი, გულკეთილი და ხალხის შემბრალებელი იყო.

ხელმწიფის შვილმა მეორე დღეს ეს ქალი თავიანთ მოახლეებს გააყოლა აბანოში და უბრძანა: კარგად ებანებინათ და ძვირფასი ტანისამოსი ჩაეცმიათ, შემდეგ ამისა დედოფალთან წაეყვანათ, რომ მისთვის ეამბნა თავისი თავ-გადასავალი. ბრძანება მსწრაფლად შეასრულეს. შემდეგ ქალმა დაწვრილებით უამბო თავის ამბავი დედოფალსა. დედოფალი გაჰკვირდა: ქალს ნუგეში სცა და უთხრა, ნუ გეშინიან: **„გაჭირვების შედეგი, იცოდე, ლხინიაო“.**

განვლო ექვსმა თვემ და მოკვდა ფელფექ ხელმწიფე. იმის მაგიერ ტახტზე ავიდა მისი შვილი ურკან თამუში. ახალი მეფე ჯერ დაქორწინებული არ იყო. დედოფალს ძლიერ შეჰყვარებოდა ნაპოვნი ქალი, ამიტომ თავის შვილს შერთო ცოლად.

ახალგაზდა დედოფალი კეთილმსახურებაში და ტკბილ ცხოვრებაში ატარებდა დროსა და ღმერთს მადლობასა სწირავდა, რომ მან იხსნა ის ყველა გაჭირვებისაგან. და ამათთანა კეთილ და ძვირფას პატრონების ღირსი გახადა. არ ამპარტავნობდა და მუდამ იგონებდა იმ ანდაზას: **„ამპარტავნის მტერი თითონ ღმერთიაო“.**

ექვსი წელი ასრე ღეთის სახებაში და სიხარულში გაატარა. ეყოლა ორი ლამაზი და მალხაზი ვაჟიშვილი. ერთს ღამეს ახალგაზდა დედოფალმა ნახა სიზმარში თვისი მამა. იჯდა და გულამოსკვნითა სტიროდა, ქალმა ჰკითხა:

— მამავ, რათა სტირი? მითხარ რა გაჭირვება გაქმსო?

— როგორ არ ვიტირო! ამ წუთისოფელში ერთი ასული ყყავდა და იმანაც სახელი გაიტეხა. ეხლა მანუგეშებელი აღარავინა მყავს; დღე და ღამ ასრე ვსტირი და ვგლოვობ. ნეტავი ვიცოდე მაინც სად არის ჩემი ქალი, მკვდარია თუ ცოცხალი? მაგრამ რაღა მეთქმის მე საწყალსა, ნათქვამია: **„ცხარე ძმარი თავის ჭურჭელს გახეთქსო“.**

როცა დედოფალმა სიზმარში მამისაგან ეს სიტყვები მოისმინა, უნებლიედ ხმა მაღლა ქვითინი დაიწყო, ამ ქვითინზე მეფეს გამოეღვიჭა და ძილში ტირილის მიზეზი ჰკითხა დედოფალსა:

— სიზმარში მცემდნენ და ტომაც ვსტიროდიო.

თუმცა ქმარს დაუმალა სიზმარში მამის ნახვა, მაგრამ გულში ნაღვლობდა და ჩუმ-ჩუმად ტიროდა მამის მოგონებით. ბოლოს ისე შეიცვალა, რომ ხელმწიფემაც კი შეამჩნია და უთხრა:

— საყვარელო დედოფალო! რაღაცა დარდი გაქვს და მე კი მიმალავ. რაშია საქმე, მითხარ და ყველაფერს შეგისრულებო.

ბოლოს დედოფალმა უთხრა სიზმარში ნახული.

მაშ რადგან აგრე მოგსურვებია მამა და იმისათვისა ნაღვლობ აქ მოვაყვანინებო, დაჰპირდა მეფე.

— არაო, უპასუხა დედოფალმა,— იმის აქ მოსვლას, სჯობს მე წავიდე მის სანახავად და მისგან მშობლიური კურთხევა მივიღოო.

მეფე დასთანხმდა. იმან ჩააბარა დედოფალი თავის ერთგულ ვეზირს, თან გააყოლა მოახლეები, დიდძალი ჯარი და გაისტუმრა. დედოფალმა თანვე წაიყვანა ორივე ვაჟიშვილი.

ალ. იაკ. ახალციხელი.

(შემდეგი იქნება)

შეთანხმებულნი: სფინქსი თუ აღდგა, ჩვენ მოგვემხრობა!
მოკავშირენი: უთუოდ მათი დიდი აქვს მტრობა!



„ყველაზედ უწინარეს ჩვენ დავეცით სულით, ჩვენში შესუსტდა შემოქმედების ძალა, მოწყდა ენერგია, შემოკლდა ფარგალი ჩვენის მოქმედებისა, დამახინჯდა ჩვენი ზნეობრივი შეხედულობა. ჩვენი უდიდესი უძლურობა— ეს სულიერი დასნეულებაა, ეს უძლურებაა, რომელიც ფართო დაღად ამჩნევია ყოველს ჩვენს საქმეს და სიტყვას.“

„სახალხო ფურცელი“.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. რედაქტორ გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**